ავიაცია Gulf AVIATION

შპს პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია
PETROCAS FUEL SERVICES GEORGIA LLC

#05-22/130
02.05.2022

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ თქვენი 2021 წლის 29 დეკემბრის N14045/01 წერილის შესაბამისად კორექტირებულ, ქ. თბილისში, აეროპორტის გზის მარცხენა მხარეს არსებული შპს ,,პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას" 5500მ^3 ტევადობის ნავთობბაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გზშ-ის ანგარიშს, რომელიც ითვალისწინებს 20 000 ტონა წლიური ტვირთბრუნვის გაზრდას 60 000 ტ წლიურ ტვირთბრუნვამდე.

აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 19 ოქტომბრის N2-925 ბრძანებით გაცემულია სკოპინგის დასკვნა N81 (06.10.2020).

სკოპინგის დასკვნის პირობების და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" შესაბამისად, წარმოგიდგენთ ამავე კოდექსის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ დოკუმენტაციას:

1. პროექტის გზშ-ის ანგარიში;
2. პროექტის ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი;
3. არატექნიკური რეზიუმე;
4. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
5. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
6. მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
7. საქმიანობის განხორციელების ადგილის shp ფაილები.

ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები წარმოდგენილია როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით.

ასევე, წარმოგიდგენთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 30 მარტის #16-0122089861 წერილს, რომლის თანახმადაც, ვინაიდან შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას" მიერ დაგეგმილი უკვე არსებული ნავთობპროდუქტების ბაზის წარმადობის ზრდა არ მოიცავს ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურულ და სამშენებლო ან/და სამონტაჟო/სადემონტაჟო სამუშაოებს, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა სცილდება სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებს.

პატივისცემით,

ლაშა გვეტაძე

შპს ,,პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას" დირექტორი

№12457
"18" 05 2022
1/CD

მის: ჭავჭავაძის გამზირი 34, 0179 ; თბილისი, საქართველო
Address: Chavchavadze 34, 0179; Tbilisi, Georgia
ტელ / Tel: 2239944 / 2239922
www.gulfaviation.ge